ლი შედეგები მოჰყვება „ისლამური სახელმწიფოსთვის“ ევროპის ინერტულობა დამთავრდა. გარდა ამისა, გადაისინჯება ღია კარის პოლიტიკაც, ყოველდღე 20-30 ათასი ლტოლვილი ვეღარ ჩავა ევროპაში. შენდება ქალაქები და ბანაკები, მიდის დახსივრები, ეს საკითხიც გადაისინჯება. კი, მაგრამ ჩვენ ამ ვიზალიბერალიზაციას რომ გვპირდებიან, სად მივდივართ ამ ვიზებით, ევროპაში, სადაც შეიძლება ყოველ წუთში ბომბი აფეთქდეს? — შეიძლება, რომ საფრანგეთმა დაიწყო ფიქრი ევროკავშირის დატოვებაზე, რათა საკუთარ თავს მიხედოს? — არა, კონტროლი გამკა-

სახელმწიფოს“ ასეთი კამიკაძეები ასე ათასობით ჰყავს გამზადებული? ეს პრიმიტიული ფანტაზიაა. ლე პენის პარტია ქვეყნის სათავეში ვერასოდეს ვერ მოვა, მაგრამ რეალურ ძალას წარმოადგენს. — ჩვენ რა ვქნათ? აგერ, ვილაიეთი გურჯისტანი შეუქმნიათ ჩრდილოეთ კავკასიაში. გარდა ამისა, „ისლამური სახელმწიფოს“ „ბოვევიკი“, ვინმე თამაზ ჭალაიძე, იგივე აჰმედ ჭალაიძე, რომელიც სირიაშია და საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობს, საქართველოს ყოფილი და ახალი მთავრობის წევრებს, ასევე, სამღვდლოებსა მუქარის წერილით მიმართავს, ვინც მუსლიმანების წინააღმდეგ რამე ჩაიდინეთ ნატოს მისთვის ვრავში, ავღანეთში, აფრიკაში, თუ

ძლებელი. ფრანგული სპეცსამხაურები უფრო მაღლა დგანან ალჭურვილობითაც და გამოცდილებითაც. ჩვენ ყველანაირად უნდა ავიცილოთ ის საფრთხე, რასაც ჰქვია ლტოლვილების შემოსვლა. ჩვენ ისედაც საკმარისად გვყავს მუსლიმანი მოსახლეობა, ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ აქ არ გაჩნდეს სასიკვდილო ბაცილა, აქ არ მოიკიდოს ფეხი. — მუქარა რამდენად რეალურია? — მაგათი მუქარა ყოველთვის საშიშია, ეს თავზეხელაღებული პუბლიკაა. როდესაც ჯანმრთელი გოგო-ბიჭები თავებს იფეთქებენ იმიტომ, რომ მეტი უდანაშაულო ადამიანი წაიყოლონ, ეს უკვე ავადმყოფობაა. ახლა ეგენი

უნდა გამოვიტანოთ და ჩვენს მუსლიმანურ მოსახლეობასთან უნდა გაძლიერდეს მუშაობა. მაგალითად, სომხეთს ასეთი საფრთხე არ ემუქრება, ჩვენ ინტერნაციონალური ქვეყანა ვართ, ვისაც უნდა, მოდის და ცხოვრობს. უცხო ტომის ხალხი აქ დაიბადა, აქ გაიზარდა და ქართული ენა არ იცის, კანონები არ იცის. პოლიტიკურად არ გრძობენ თავს ქართველებად. ეს ფეთქებადი მასაა. — ესე იგი, ეს ტრაგედია ცივი შხაპი უნდა იყოს ჩვენი? — რასაკვირველია, ცივი შხაპი, მაგრამ ვისაც ეს ევალება, მოიცლის ამისთვის? ცოტა ეჭვი მეპარება, როგორც ვხედავთ, ჩვენს ქვეყანაში სულ სხვა საკითხებია აქტიური. **თემის გავრცელება მე-10 გვერდზე**



ენიშ სახარაძე
599 71-14-22



მაგალითად, ალჟირელები გახდნენ საფრანგეთის მოქალაქეები და სხვა კოლონიებიდან ჩამოსულ ადამიანებს აძლევდნენ საფრანგეთის მოქალაქეობას. იმ მომენტისთვის არავინ ფიქრობდა სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე, საბოლოო ჯამში, ამ პრობლემების ნაკადმა საფრანგეთი იქამდე მიიყვანა, რომ იქ არის რეგიონები, სადაც ფრანგული არ იცინა და არც აინტერესებთ და ძირძველი მოსახლეობა წარმოადგენს უმცირესობას ისეთ ქალაქში, როგორც არის მარსელი. აი, აქამდე მიიყვანა საფრანგეთი

მუშაობას, რომ ისინი არ ყოფილიყვნენ დადანიშნულნი ბულები ადამიანის უფლებების შეზღუდვაში, ტოლერანტობაში და ა.შ. ჩივილები ფრანგული სპეცსამსახურებიდან უკვე კარგა ხანია ისმის სხვადასხვა მედიასაშუალებებით თუ კულუარულად, რის შედეგადაც მივიღეთ საბოლოოდ ეს სურათი და დარწმუნებული იყავით, ამ ტერორისტებიდან ნახევარზე მეტი, თუ მთლიანად არა, საფრანგეთის მოქალაქე იქნება.

— „ნაცმოძრაობის“ წევრებმა და მათმა მხარდამჭერებმა ექსპერტებმა პარიზში მომხდარი

ლამური სახელმწიფოს ტერორისტებმა ეგვიპტეში რუსეთის სამოქალაქო თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

— ჯერჯერობით რამის მტკიცება მგონი, ნაადრევია. „უზი“ რომ სჭეროდათ ხელში, უნდა გვეფიქრა, რომ ტერორისტების უკან ისრაელის სპეცსამსახურები იდგნენ? ან „ბერეტა“ რომ სჭეროდათ, უნდა გვეფიქრა, რომ იტალიელებმა ნააქვხეს? ეს არის ნონსენსი. ვერსიულად, ამ ტერორისტების უკან, შესაძლოა ნებისმიერი ქვეყნის სპეცსამსახურები იდგნენ – არაბული, რუსული, ამერიკული, ფრანგულიც კი...

როგორც 11 სექტემბრის ტერორიდან დაკავშირებით დღემდე არის კითხვები, სულ მცირე, სპეცსამსახურის ერთ-ერთმა ნაწილმა იცოდა, რომ მზადდებოდა ტერაქტი და ხელი არ გაანძრია, ასევე, რუსეთში სახლების აფეთქებისას ჩართულნი იყვნენ რუსული სპეცსამსახურები და ეს ხდებოდა ყარაჩაელების ხელ-გვეფიქრა, რომ იტალიელებმა ნააქვხეს? ეს არის ნონსენსი. ვერსიულად, ამ ტერორისტების უკან, შესაძლოა ნებისმიერი ქვეყნის სპეცსამსახურები იდგნენ – არაბული, რუსული, ამერიკული, ფრანგულიც კი...

დურება, თორემ შუბი ხალთაში არ დაიძვრა და ბოლოს და ბოლოს, გაირკვევა, ვინ დგას ამ ტერაქტის უკან. უბედურება კი ის არის, რომ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებზე ყველა დიდი სახელმწიფო ცდილობს ხელის მოთხოვას. ყველა ცდილობს მღვრიე წყალში თევზის დაჭერას და ამიტომ ყველა ვერსია საყურადღებოა.

— ვრცელდება ინფორმაცია, რომ ისლამურმა სახელმწიფომ კიდევ ერთი ვილაიეთი — საქართველო მონიშნა. სამხედრო ექსპერტები აცხადებენ, რომ უახლოეს დღეებში გაფრთხილება

რა ელოდება საქართველოს, რომელიც არის დამაკავშირებელი დერეფანი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, საიდანაც შეიძლება ტერორისტებმა სირიიდან რუსეთის ან ევროპის მიმართულებით ამოყონ თავი; პანკისიდან ISIS-ში წასული მეზობლები შეგვიქმნიან თუ არა საფრთხეს და ვინ არის პასუხისმგებელი მასშტაბური ტერორისტული ორგანიზაციის შექმნაზე, რასაც „ისლამური სახელმწიფო“ ჰქვია?

კავკასიის საკითხებში ექსპერტი მამუკა არეშიძე „კვირის ქრონიკის“ კითხვებს პასუხობს:

— ბატონო მამუკა, ურევია თუ არა ამერიკის შეერთებული შტატების ხელი ირბად ISIS-ის შექმნაში? სირიაში ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის წინააღმდეგ ზომიერი ოპოზიცია რომ არ შეექმნა ამერიკას, არ დაფინანსებინა, არ გაეწვრთნა, არ მოემარაგებინა იარაღით, ფიქრობთ, რომ ასე გაძლიერდებოდა „ისლამური სახელმწიფო“, რომელიც დღეს მსოფლიოს თავისუფლებილად იქცა?

— თუ გავიხსენებთ, რა მოხდა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, თავისუფლად შეიძლება ითქვას, ის რაც ახლო აღმოსავლეთში ხდება, ნონას-ნორობის დარღვევა, ტრადიციული რეჟიმების ვარდნა და ა.შ. ეს არის ორი დიდი სახელმწიფოს – ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის დამსახურება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეს ორი სახელმწიფო ამით იყო დაკავებული. ამასობაში მომადრდნენ სპარსეთის ყურეში განლაგებული სახელმწიფოები, რომელთაც აქვთ უზარმაზარი ენერგორესურსი და ახლა ამ სახელმწიფოებმა დაიწყეს შექმნილ სიტუაციაზე ხელის მოთხოვა. რაც ამის დაბრალება მართო ამერიკელებისთვის, ან რუსებისთვის ხდება, აღარც არის რელევანტური.

— თქვენი აზრით, ტერორისტებმა იერიში რატომ მიიტანეს მაინცდამაინც პარიზზე? ერთი წლის განმავლობაში „შარლი ებდოს“ რედაქციაზე თავდასხმის შემდეგ მათ მეორე მასშტაბური ტერორისტული აქტი განახორციელეს. რატომ პარიზი?

— მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ პარიზი არის ევროპის ცენტრი და ყველა ასეთი ტიპის მასშტაბური ტერორისტული აქტი მსოფლიოს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. რამდენიმე ხნის წინ იმაზე მეტი დაიღუპა პაკისტანში, ინდონეზიაში და სხვაგან, მაგრამ ყურადღება არ მიაქცევს. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ უსაფრთხოების სისტემაში, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, საფრანგეთი ერთ-ერთი სუსტი რგოლია და სუსტი რგოლია ზუსტად იმ სამინაო და სამედიცინო პოლიტიკის გამო, რომელსაც აწარმოებდა საფრანგეთი გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მოყოლებული. ერთ მშვენიერ დღეს საფრანგეთმა გადაწყვიტა, ზოდიშის მოხდის პოლიტიკა ეწარმოებინა თავისი კოლონიებისთვის. მათი ნაწილი,

საქართველოს უსაფრთხოების სამსახურს უსწავს კალა და უნარი, თავიდან ავიცილოთ ტერორიზმის საფრთხეები?

კავკასიის საკითხებში ექსპერტის მამუკა არეშიძის ორი რჩევა



ფსევდოევროპულმა ღირებულებებმა, ტოლერანტობამ, ლიბერალიზმამ და ა.შ. ეს არის იმ ანტი-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შედეგი, რასაც საფრანგეთი უკვე 40 წელია აწარმოებს... და მთავარი, საფრანგეთის ხელისუფლება ხშირად ზღუდავდა პროფესიონალი სპეცსამსახურების

ტერაქტის უკან რუსეთის ხელი დანახვს ნიკა რურუა აცხადებს, რომ შესაძლოა რუსეთი იყო ნამქვზეული ამ ტერორისტების. ტერორისტები კალაშიკოვის ტიპის ავტომატებით იყვნენ შეიარაღებულნი, ისევე, როგორც „შარლი ებდოს“ რედაქციაზე თავდასხმელები. „კალაშიკოვის“ გარდა, ამ ტერორისტული აქტის რუსეთზე რა ბმას ხედავთ? არაა, სულ ათიოდე დღის წინ ის-

ამის ახსნაც შეიძლება, მაგალითად, ფრანსუა ოლანდს სჭირდებოდა ასეთი ექსცესი იმისთვის, რომ შემოეღო სამხედრო მდგომარეობა და ქვეყნიდან განედევნა რადიკალური ისლამის მიმდევრები.

კალური ისლამის მიმდევართა გაქცევა, მაგრამ ყველა შემთხვევაში ერთი და იგივე იარაღი გამოყენებული. ესენი არიან ისლამისტი ფუნდამენტალისტები. ეს არის უბე-

ვიდო საქართველოდან წასული ჯიპადისტების მონაწილეობით. ჩვენ ცეცხლის რკალში ვიმყოფებით და რა საფრთხეებს უნდა ველოდოთ?

— ჩვენ დიდი ხანია ცეცხლის რკალში ვიმყოფებით,

არჩევნების შემდეგ დამტკიცდა ის, რომ ინაშვილი არ არის პოპულარული და პოპულარულია „რესპუბლიკური პარტია“... პირიქით, შეიძლება მათ ინაშვილი ფორმალურად დაამარცხეს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ „პატრიოტთა ალიანსის“ მხარდამჭერები არიან ძირითადად გაბრაზებული მოქალაქეები, დღეს ისინი სამამაგად გახლავან გაბრაზებულები, ხოლო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ამ გაბრაზების საფუძველზე იქნებიან ასჯერ მეტად მობილიზებული. ისინი, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებისგან განსხვავებით, საარჩევნო უბნებზე რიგებს დაყენებენ და ძალიან სერიოზული წარმომადგენლობის მოპოვებას შეეცდებიან პარლამენტში. ასე რომ, ამგვარი ქმედებით და ქალბატონი ინაშვილის მხარდამჭერთა კიდევ მეტად გაბრაზებით, „ქართულმა ოცნებამ“ ვერაფერი მოიგო...

— ეს არჩევნები ინაშვილის შიშის შეწყვეტისკენ მოუწოდებენ. თუმცა ინაშვილი არ აპირებს უკანდახევას, ვიდრე მისი მოთხოვნები არ დაკმაყოფილება, საარჩევნო გარემო არ გაუმჯობესდება და მთავრობა ხიდაშელსა და ატულაშვილს არ გადააყენებს. ფიქრობთ, რომ მისი მოთხოვნები დაკმაყოფილება?

— მე ვფიქრობ, რომ ინაშვილის უკან დგანან ძალიან სერიოზული პოლიტიკური კონსულტანტები, ხიდაშელისა და ატულაშვილის გადაყენების მოთხოვნა, ეს არის იმ გაბრაზებულ ამომრჩევლის მობილიზაციაზე გათვლილი, უფრო მაღლა რომ აიწიოს ტემპერატურა და უფრო მაღალი თამაშა რომ დანესდეს. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ბისმარკმა თქვა, — უნდა მოითხოვო შეუძლებელი, შესაძლებელს რომ მიაღწიო. ამ ეტაპზე ქალბატონი ინაშვილი შეუძლებელს ითხოვს. თინა ხიდაშელი იმდენად ცენტრალური ფიგურაა ამ ხელისუფლების, რომ მას არაფერი გადააყენებს. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია მეორე მოთხოვნა, რასაც ინაშვილი აყენებს, რომელიც აცხადებს, რომ მისთვის არაა მნიშვნელოვანი ერთი ადამიანის გასვლა პარლამენტში, ის ახლა ცდილობს, ამ საპროტესტო ტალღაში ჩაითრიოს ყველა ოპოზიციური პარტია, მისი მთავარი მოთხოვნა და მთავარი მიზანი ამ შიშისგან, არის ის, რომ 2016 წლის არჩევნებზე ამოქმედდეს პროპორციული სისტემა და ეს არის ის მოთხოვნა, რომელიც შეუძლია ძალიან ბევრი პოლიტიკური პარტიის ორგანიზებულად მობილიზება, თუნდაც იდეოლოგიურად განსხვავებული ფაქტობრივად. მე ვფიქრობ, ამ ეტაპზე სწორედ ამაზეა გათვლილი.

თუკი ინაშვილი ასე გააგრძელებს და რაიმე შეცდომას არ დაუშვებს, ამ საკითხის გარშემო შეძლებს გააერთიანოს ოპოზიცია ერთჯერადად, და ვფიქრობ, საკმაოდ რეალურია შიშისგან თავის დასაღწევად, რომელიც აქციის ფონზე ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება,

რომ 2016 წლის არჩევნები ჩატარდეს პროპორციული საარჩევნო სისტემით.

ხოლო პროპორციული საარჩევნო სისტემით 2016 წლის არჩევნების ჩატარება ნიშნავს იმას, რომ თავდაცვის მინისტრობა აღარ შეხვდება თინა ხიდაშელს და შესაძლოა ეს პოსტი სხვა პარტიის წარმომადგენელს შეხვდეს. ასე რომ, ამ შიშისგან გათვლა არის უფრო მეორე საკითხზე. — ხომ არ გაქვთ განცდა, რომ „ქართულ ოცნებას“ ინაშვილის ხელთ სურს „რესპუბლიკური პარტიის“ კოალიციიდან ჩამოცილება?

— არ ვიცი, მაგრამ ერთი რამ ცხადია, „რესპუბლიკური პარტია“ ყოველთვის გამორჩევა ქვედაპლანზე, ყოყმანით, ზემოდან უყურებენ ადამიანებს, ბუნებრივია, კოალიციაში მყოფი ძალიან ბევრი ადამიანისთვის ეს არის დისკომფორტი, ისინი ძალიან ბრაზობენ ამაზე. მეფერა იმისა, რომ კოალიციაში არსებობენ ძალები, რომელთაც სურდათ, რომ მათთვის უფრო ახლოვებული ინაშვილი შეესულიყო პარლამენტში, მაგრამ საბოლოოდ აღმოჩნდა ის, რომ „ქართული ოცნების“ მთელმა კოალიციამ პასუხისმგებლობა აიღო თამარ ხიდაშელის პარლამენტში მოხვედრაზე.

— ლევან, ჩვენ ვხდებით მოწმენი როგორ შემოდის პოლიტიკაში პაატა ბურჭულაძე. ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ პაატა ბურჭულაძეს ამ ნაბიჯის გადადგმას არ უსურვებდით. ხომ არ შეიცვალეთ პოზიცია?

— პაატა ბურჭულაძემ პროფესიონალი საინტერესო კადრები შეარჩია და ეს ამჟამად ეტყვის, რომ „საქართველოს განვითარების ფონდი“, რომელიც პაატა ბურჭულაძემ 30 ოქტომბერს დააარსა, პოლიტიკურ პარტიად გარდაიქმნება. ამიტომ ძალიან სამწუხაროა ის სიყალბე, რომელიც ამდენი ხანია გვეზის ბატონი პაატა და მის ირგვლივ მყოფი ადამიანები აცხადებენ, — არა, როგორ გეკადრებათ, პოლიტიკაში მოსვლას არ ვაპირებთ, დემოკრატია უნდა განვავითაროთ, პოლიტიკას არ ვეზობით, ეს არის სიყალბე. მაშინ როცა აქედანვე ჩანს, რომ ისინი კონკრეტული პოლიტიკური მიზნებით მოდიან.

ვიცი, თქვენს განუთხარებელს საკუთრებით ადევნებენ თვალს, ამიტომაც ვისარგებლებ შემთხვევით და კიდევ ერთხელ მოვუწოდებ, — ბატონო პაატა ნუ დაანგრევს თავის გენიალურ ავტორიტეტს, რომელიც მას საზოგადოებაში აქვს. ის ეწეოდა არა მარტო სოციალურ, არამედ კულტურულ ქველმოქმედებას, რითაც მან უდიდესი ავტორიტეტი მოიხვეჭა, მას ვურჩევდი, გაავრცელოს ქველმოქმედება, არ არის საჭირო, მოვიდეს პოლიტიკაში. დარწმუნებული ვარ, გრანდიოზული მიზნების მიღწევას პოლიტიკურ ველზე ვერ მოახერხებს და იმედებს გაუცრუებს ჩემნაირ ადამიანებს, რომლებიც მისი განვლილი გზით ამ ეტაპზე აღფრთოვანებულები არიან. არ გამ-

ოვრიცხავ, რომ ვიღაცა იყენებდეს მას თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის, შესაძლოა ის იყოს მასველი რგოლი „ქართული ოცნებისთვის“ და დაასუსტოს სხვა ძალები. არ არის გამორიცხული, რომ ამ მიზნით შემოიყვანოს „ქართულმა ოცნებამ“ იგი პოლიტიკურ ველზე, უამრავი სხვა მსგავსი სცენარი არსებობს. არ არის საჭირო, ამ დონის ადამიანი ასეთ პოლიტიკურ სცენარებში გაეხვიოს.

— რას ფიქრობთ „ნაციონალური მოძრაობიდან“ ნამოსულ კვარტეტზე, რომლებმაც შექმნეს პოლიტიკური ცენტრი „გირჩი“?

— პოლიტიკური ხედვით ვარ მემარცხენე, პოლიტიკურ ცენტრ „გირჩს“ აქვს იგივე იდეოლოგია, რაც ჰქონდა ცხონებულ კაბა ბენდუქიძეს.

ეს არის ძალიან, რომელიც ამბობს, — სახელმწიფო განზე უნდა გადგეს, დაცვეს მხოლოდ უსაფრთხოების ზომები, ყველაფერი უნდა გავე-

დოთ და ბიზნესმენებმა უნდა გადანაწილონ ქვეყნის ბედი. შესაბამისად, ის იდეოლოგია, რომელიც ამ სუპერუცნაური სახელწოდების მქონე პარტიას აქვს, ჩემთვის არის ბოროტება, რომელიც კარგს არაფერს უქადის ჩვენს ქვეყანას, მაგრამ

სამწუხაროა, რომ ბატონი ინაშვილი განსაკუთრებულ სიმპატიებს აკლენს ამ ნეოლიბერალური პოლიტიკური ხედვების მქონე ძალებთან, აქვს კიდევ, მის

ძალიან ოდიოზურ და სამარცხვინო წევრებს. ეს ბატონი ინაშვილის დამოკიდებულებებზე მიუთითებს.

პარტია, რომელსაც „გირჩი“ ჰქვია, თავიდანვე განწინვულია საქართველოში წარუმატებლობისთვის. თუმცა, რა სახელიც არ უნდა დაირქვას, გირჩი თუ ნინვი, ამ პარტიის ლიდერები არიან იმ რეპრესიული პოლიტიკის მთავარი აპოლოგეტები...

ინეო ლაპარტახა 571 99-92-33



ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი ამერიკელი პენსიონერი და მოყვარული ფოტოგრაფი მაიკლ ბურგოლტნი. მაიკლი მონტანიდან არის, თუმცა რამდენიმე წელია, საქართველოში ცხოვრობს. მასთან ინტერვიუს ჩანერა, ძირითადად, ორი ფაქტორის გამო გადაწყვეტიტ: პირველი ის, რომ მაიკლი მართლაც ძალიან საინტერესო ფოტოებს იღებს და



რატომ მოინათლა ამერიკელი ფოტოგრაფი პარტიაზე მართლმადიდებელ ქრისტიანად?



მეორე: იშვიათად მინახავს საქართველოზე ასე შეყვარებული უცხოელი...

მაიკლი, ფოტოაპარატის თანხლებით, ხშირად დადის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ყველა საინტერესო პეიზაჟსა თუ სიტუაციას ფოტოობიექტივზე აფიქსირებს. ჩვენი შეხვედრა ძველი თბილისის უბანში მდებარე ერთ-ერთ კაფეში შედგა, სადაც მე და მაიკლი მისი მეგობრისა და ამავედროულად, თარჯიმნის, მეგობრით ვწვრდით ინტერვიუს.

— მაიკლ, როგორ გაიგეთ საქართველოს შესახებ?
— საქართველო შემთხვევით აღმოვაჩინე სოციალურ ქსელში გავრცელებული ფოტოების ნყალობით და ამ ფოტოების ქართულ ავტორებს დავეკავშირდი. ურთიერთობა დავეინწყე ორ მათგანთან, შემდეგ კი საქართველოში ჩამოსვლა გადავწყვიტე. აქ ორჯერ ჩამოსვლა და მოგზაურობაც კი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ საქართველოში ცხოვრების გადაწყვეტილება მიმეღო. რატომ? პირველ რიგში იმიტომ, რომ საქართველო ძალიან ლამაზია, ძალიან მოეხიბლე ქართველი ხალხით და კიდევ იმიტომ, რომ აქ არ არის ლობებები, ჭიშკრები და თავისუფლად შეგიძლია, გადაადგილდე იქ, სადაც მოგინდება. ამით იმის თქმა მინდა, რომ ქართველი ერი ძალიან სტუმართმოყვარეა და საოცარი დახვედრა იცის.

— ოჯახი როგორ შეხვდა თქვენს გადაწყვეტილებას?
— თავიდან იფიქრეს, რომ გავგიჟდი (იცინის), მაგრამ ჩემმა ვაჟმა და დედამ, რომელიც 92 წლისაა, გამიგეს და ახლა უკვე კარგად ესმით ჩემი ეს გადაწყვეტილება.

— რას იღებთ უფრო ხშირად საქართველოში და რა მოგწონთ ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მეტად?
— ძირითადად, ორი მიმართულებით ვიღებ: საქართველოს ლანდშაფტისა და ქუჩის ფოტოგრაფიას და ორივე უფრო ძალიან მიყვარს. საქართველოს კუთხეებიდან ძალიან მიყვარს თუშეთი, ჯავახეთი... ასევე, ძალიან მიყვარს მარტვილი და იქ დიდი ხნით ყოფნა. და, რა თქმა უნდა, მიყვარს თბილისი, განსაკუთრებით კი — სოლოლაკი. ზოგადად, საქართველოში ძალიან ბევრი ლამაზი, საინტერესო და თვალწარმტაცი ადგილია, რომელთა ყურებაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს და სწორედ ამიტომ, ხშირად დავდივარ ხოლმე საქართველოს სხვადასხვა მხარეში...

— ნარმოშობით მეც მარტვილიდან ვარ...

არაჩვეულებრივი მარანი. იქ არის მორჩილი ილია, რომელიც ლვინობს ამზადებს. მართლმადიდებლობის შესახებ ილია მესაუბრა, როგორც კაცს კაცს. მართლაც ძალიან საინტერესო საუბარი გვექონდა და სწორედ მაშინ გადაწყვეტიტ საბოლოოდ, მართლმადიდებელ ქრისტიანად მოვინათლულიყავი. მომნათლა ილუმენმა ექვთიმემ და ჩემი ნათლია სწორედ ის მორჩილი ილია გახლავთ.

— რა არის თქვენთვის ფოტოგრაფია და როდის დაინწყეთ ფოტოების გადაღება?
— ეს არის საშუალება, გადმოვცე და გამოვხატო ყველაფერი, რასაც 8 წლის ასაკიდან ვხედავ და რაც მას შემდეგ მახსოვს. მთელი ჩემი ცხოვრება არის გამოხატულება ფოტოგრაფიაში. ფოტოების გადაღება დავეინწყე 13-15 წლის წინათ, როდესაც ჩემმა შეიღმა მაჩუქა ფოტოაპარატი. მას შემდეგ ყველაფერი, რასაც ჩემი თვალებით ვხედავ, ფოტოაპარატში გადამაქვს. სხვათა შორის, რაც ფოტოგრაფობას მიყვარს ხელი, მას შემდეგ უფრო მეტად გამომხსვილდა დაკვირვების უნარი: მაგალითად, მე უკვე „შევისწავლე“ თქვენი ყველა ბეჭედი, რომელიც ახლა გიკეთიათ და უკვე ინსტიტუტურად ვფიქრობ, როგორ შეიძლება გადავიღო ეს და როგორი კადრი შეიძლება გამოვიდეს... ფოტოგრაფი მაღლიერი უნდა იყოს იმისთვის, რომ მას აქვს დანახვისა და საგნების განსხვავებულად აღქმის ნიჭი და მე მართლაც მაღლიერი ვარ, რომ შემიძლია, ფოტოებით გადმოვცე ის, რასაც ვხედავ, რაც ჩემზე შთაბეჭდილებას ახდენს და რაც, უბრალოდ, ძალიან ლამაზია...



გალს ზადელაშვილი
555 48-48-61



ბელი... მოკლედ, ყველაზე დიდი „კაიფი“ კი ის გახლავთ, რომ პარლამენტის საიტზე განთავსებულ სიაში მითითებულია მხოლოდ გვარები და სახელები, ვინცის თანაშემწეა, ვის რა ევალება, ვინ რას აკეთებს, გაურკვეველია. როგორ ფიქ-

შტატგარეშე მოსამსახურე, ნინო გოგორიშვილი (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), თამარ გუნიავა (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), რაიდა დარზივა (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), ლაშა დვალაშვილი (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), ლაშა დიდბერიძე (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), გიორგი ზაუტაშ-

ნე — შტატგარეშე მოსამსახურე, პაატა მანჯგალაძე (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), თამარ მარტიანი (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), მამუკა მაჭავარიანი (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), ზვიად მენაბტიშვილი (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), იზოლდა მიქელაძე (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), მზია მუ-

შტატგარეშე მოსამსახურე, დავით შარუხია (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), გრიგოლ შუშანია (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), თამარ ჩაიძე (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), გია ცუცქერიძე (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), ოთარ ხუფენია (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), ელენე ჯავახიძე (თანაშემწე —

60 თანაშემწე დაფიქსირებული, ნუ გამოვირცხებით, რომ 2-3 ადამიანი 1 დეპუტატზე იყოს მიმდებარებული. მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო და არ გადავტყურო, თუ შეილება იქნება ან ნათესავეებისთვის „აუტკივარი“ სამსახურები გინდათ, მე მიგასწავლეთ, ახლა

ამას წინებზე დიდი ხნის უნახავი „ამხანაგი“ დამადგა თავზე, შეილისთვის სამსახურს ვეძებ, უნდა მიშველო რამეო. მე რომელი დასაქმების ბიუროს თანამშრომელი მნახა, ან შრომის ბირჟაში ვმუშაობ, თუ ჟურნალისტი ვარ, ამათ ვერ გააგებინებ. ჰოდა, არც მაცალა ახსნა-განმარტება, რომ მისამართი შეეშალა, გააგრძელა... არ უთქვამს, ეს შეილი გოგოა, ბიჭია, ტრანსია თუ ტრადიციული, ეგრევე მოთხოვნებზე გადავიდა: მოკლედ, ჩემს შეილს ისეთი სამსახური უნდა ჰქონდეს, არ დაიღალოს, გონება არ დაძაბოს, ოთახში იჯდეს (კაბინეტი, არ უთქვამს, ვერ გაბედა, ამდენი ზრდილობა კი აქვს), ზამთარში თბილად უნდა იყოს, ზაფხულში — გრილად, ვილაცის პრეტენზიებს ვერ იტანს, უფროსიც თვითონ უნდა იყოს და უმცროსიცო. ხუმრობის ხასიათზე დავდექი და ვკითხე, ხელფასი მეთქი? ნუ, ახლა, როგორ გითხრა, ცოტა მეუხერხულეა, მაგრამ ოთხიშნა ციფრები ნაკლები არ უნდა იყოს... ვაა, მერე, ეგეთი სამსახური სად გეგულება-მეთქი? მაგაზე შენ იფიქრე, იმდენი ნაცნობ-მეგობრები გყავს, მოძებნა არ გაგიჭირდებაო. მდაა... ამას ივანიშვილის ძმაცაყვი ვგონივარ აშკარად... კარგი, შენმა შეილმა რა იცის-მეთქი? საბუღალტრო ინსტიტუტი დაამთავრა ბაკურციხეში, არ უმუშავია, მაგრამ მაგარი ნიჭიერიაო. ნიჭიერება რაში გამოიხატება-მეთქი? რავი, ბირჟაზე რო დადგება, ყველას აჩუქებსო. ჰოოო... თუ ბირჟაზე ყველას აჩუქებს, ესე იგი, ბიჭია, ხომ? მა რა, ბიჭია, სუ მე მაგვსო. ეს ამბავი კარგა ხანს აღარ გამხსენებია, ან რატომ უნდა გამხსენებოდა, მაგრამ ორიოდე დღის წინ საქართველოს პარლამენტის სტრუქტურას ვათვალისწინებდი და უცებ ამომიტივტივდა, თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი სამსახური, ამ ჩემს „ამხანაგს“ თავისი ბიჭისთვის რომ უნდოდა, მართლაც ყოფილა ბუნებაში კი არა და... აგერ, ჩვენს ცხვირწინ. არა, მე ვაკანსიებზე არ გელაპარაკებით, უბრალოდ, ყოფილა და მორჩა.

სად არიან „მოყურებულები“ თბილად და ტკბილად გალალ ხელფასზე ჩინოვნიკების ახლო ნათესავები და ახლოებულ-მეგობრები?



რობთ, ასეთი თანაშემწე, ვისაც ჩვენი ჯიბიდან ვუხდით 100 ათასობით ლარს, რამდენია? აი, ნახეთ და თავადვე დაითვალეთ:

როსტომ ასათიანი (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), თინათინ ასათიანი (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), აბესალომ ასლანიძე (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), დავით ბატაშვილი (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), მარინა ბაქრაძე (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), ქეთევან ბაშელაშვილი (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), ინგა ბინაძე (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), გელა ბოლქვაძე (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), ნინო ნაშვილი (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), თამარ გაბუნია (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), ნათია გიორგულიძე (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), მერი გოგებაშვილი (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), პარმენ გოგორელიანი (თანაშემწე —

თოშვილი (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), ნანა მურადაშვილი (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), ნატალია მჭედლიშვილი (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), ნიკა ობოლაძე (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), ინგა ორმოცაძე (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), ნათია ჟორჟოლიანი (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), ნატო საგინაშვილი (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), ნინო ტერუნაშვილი (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), ლალი ურუშაძე (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), სერგო ფარეიშვილი (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), რომეო ფარულავა (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), მარიამ ფირცხალავა (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), მერი ფოცხვერია (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), კახაბერ შაგულაშვილი (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე), მანანა შავთავაძე (თანაშემწე —

შტატგარეშე მოსამსახურე), ელისო ჯიშველიშვილი (თანაშემწე — შტატგარეშე მოსამსახურე)...

რალა იქნება, ყველა ადგილი დაკავებულია და როგორც კი 2016 წლის არჩევნები ჩაივლის, ეგრევე მიაკითხეთ საქართველოს პარლამენტს, გინდა 3 დეპუტატზე მიგამაგრონ, არაფერი უჭირს, საქმი მინც არ არის. კიდევ ერთი საიდუმლო: პარლამენტში პირდაპირ ნუ მიხვალთ, ყოველი შემთხვევისთვის მინც ვინმეს დარეკინეთ, თორემ ამათი ამბავი რომ ვიცი, დაინყებენ, ჯერ დავლაგდეთო, სიტუაციას გადავხედეთო, მდგომარეობა შევისწავლოთ. არ მოუვდით, ზარი ზემოდან და ეგრევე დაადექით თავზე, თორემ თუ გადაუტყულებულემა სიტუაციას გადახედეს და მდგომარეობა შეისწავლეს, მერე გვინა იქნება, ყველა თავისი სიდედრის დისპვილს მიიყვანს. დამიჯერეთ, არ ინანებთ!



დინა ლიპარტიანი
571 80-40-80



ტყუილი მეორე. ასევე, სამინისტრო ძალიან ამაყად მიანიშნებს მათ მორიგ წარმატებაზე და მაგალითად მოჰყავს სკოლის ავტობუსების საკითხი. კერძოდ, სამი წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ 1150 საჯარო სკოლის 60 000-ზე მეტი მოსწავლე უზრუნველყოფილია ტრანსპორტით და შედეგად, დასწრების მაჩვენებელი 95%-ს აჭარბებს; მინდა გითხრათ, რომ ამ მიმართულებით, ახალი ხელისუფლების პირობებში, არაფერი განსაკუთრებული არ გაკეთებულა. ეს პრო-

ფირება, თავისთავად ძალიან მცირე ვადას მისცემს კონკურსანტებს და ახალი მსურველების ჩართვა მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. მეორე – ძველი ავტორებიც კი, რომლებმაც არ იციან, რა კრიტერიუმებით უნდა შექმნან სახელმძღვანელოები, ვერ მოასწრებენ წიგნების შექმნას. ეს ყველაფერი კი, აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ სამინისტროს წინასწარ აქვს გათვლილი, ვინ შეიძლება მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ კონკურსში. შესაბამისად, ამ გარკვეულ ჯგუფებს აქვთ

მისთვის და არაფერს აძლევს პედაგოგს. უბრალოდ, ქალაქდომანიის გამოძახილია და არაფერი მოაქვს მოსწავლისთვის. შეუძლებელია, 60 ათასი პედაგოგის თვითშეფასების კითხვარი ისე იქნას გაანალიზებული, რომ წლის ბოლომდე რაიმე შედეგი დადონ.

ტყუილი მეხუთე. რაც შეეხება პედაგოგთა ხელფასების საკითხს – აქ, დაწვრილებით უნდა აფუხსნა მკითხველს, სად და როგორ ატყუებს სახელმწიფო პედაგოგს. სქემით გათვლილია

ხელფასის მათ მიერ გაცხადებული 160-ლარიანი მატება არის ტყუილი და რატომ – ახლავს გეტყვით: ეს მომატებული 160 ლარი ხელზე ასაღები 128 ლარია. ახლა გეტყვით ეს 128 ლარი რისგან შედგება – ეს 15 ათასამდე პედაგოგი გახლავთ სერტიფიცირებული პედაგოგი, რომლებსაც ამის გამო, 75-ლარიანი დანამატი ჰქონდათ. ეს იყო ხელზე ასაღები 60 ლარი. მათ ეს თანხა მოუხსნეს და გაუერთიანეს უფროსი მასწავლებლის მოსამატებელ თანხაში. შესაბამისად, იმ ხელზე ასაღებ

ქტემბერს გამოვიდა მთავრობის დადგენილება, რომელშიც ერთ მოსწავლეს გათვლილი ვაუჩერის ოდენობა გაზრდილი რაოდენობით იქნა დამტკიცებული. წლიურ 20-ლარიან მატებაზე იყო საუბარი. ამავე წლის 28 სექტემბერს მინისტრის ბრძანება გამოვიდა, რომლითაც დადგინდა ხელფასის დაანგარიშების წესი – 50-ლარიანი საბაზისო ხელფასის მატება დაეკისრათ სკოლებს ვაუჩერული დაფინანსებით შემოსული თანხიდან. რაც იმას გულისხმობს, რომ თითოეული სკოლა, საქართველოში, მომატებული ვაუჩერის პირობებში, არათუ უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, არამედ პირიქით, აი, ის თავისუფალი თანხა, რომელიც ხელფასის ზემოთ რჩებოდათ სკოლის განვითარებისთვის, საგრძნობლად შეუმცირდათ და თუ ამას დავამატებთ მომატებულ კომუნალურ გადასახადებს, შეიძლება ითქვას, რომ სკოლები სავალალო მდგომარეობაში არიან. მათ, ეს თანხა, რომელიც სახელმწიფომ მისცათ ვაუჩერის სახით, კომუნალური გადასახადებისთვისაც კი არ ეყოფათ. შესაბამისად, ტყუილია, რომ სკოლებს ვაუჩერი გაეზარდათ!

ტყუილი მეექვსე. ამავე ანგარიშშია საუბარი პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის საკითხზე. აქ სამინისტროს არც ერთი სიტყვა არ აქვს ნახსენები აფხაზეთის სკოლებთან მიმართებაში, რაც არის საკმაოდ საშიში სიგნალი. სამწუხაროა, რომ სამინისტრომ საჭიროდაც კი არ ჩათვალა, რომ ეს პრობლემა თუნდაც ორი სიტყვით მაინც მოეხსენიებინა. შესაბამისად, მათი ეს უცნაური მიანიშნებლობა, რომ 2015-16 სასწავლო წლებში, სრულიად გაუქმდა სასწავლო პროცესი ქართულ ენაზე იმ ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველებისთვის.

ტყუილი მეშვიდე. პროფესიულ განათლებაში, კიდევ ერთი საინტერესო პუნქტია – წერია, რომ მოდულურ სწავლებასთან დაკავშირებით, 2017 წლისგან მთლიანად მოდულურ სწავლებაზე გადავალოთ. აღნიშნული სერიოზული პრობლემა გახდება და გეტყვით რატომაც – დღეს მოდულური სწავლება ნებაყოფლობითია, თუმცა, თუ სტატისტიკას დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ კერძო პროფესიული სასწავლებელი არ ირჩევენ მოდულურ სწავლებას, ეს მისაღებია მხოლოდ სახელმწიფო პროფესიული სასწავლებლებისთვის. როცა ამ საკითხის კვლევა დავიწყეთ, აღმოვაჩინეთ, რომ მოდულური სწავლება ყურადღებას ამახვილებს პროფესიული სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზების აღჭურვაზე და არა სწავლების შინაარსზე. თუ სამინისტრო ამ მიმართულებას აირჩევს, ის პრაქტიკულად მოკლავს კერძო ბიზნესის არსებობას ამ მიმართულებით. იმიტომ, რომ ეს იმდენად ძვირი დაუჯდებათ სასწავლებლებს, რომ უმეტესობა, უბრალოდ, ლიკვიდაციას გამოაცხადებს!

რამდენიმე დღის წინ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, თამარ სანიკიძემ სამი წლის ანგარიში წარმოადგინა. მინისტრმა მიღწეულ და მისაღწევ წარმატებებზე ვრცელი პრეზენტაციები გააკეთა. თუმცა, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „საგანმანათლებლო ალიანსის“ თავმჯდომარე, მარიამ რამინაშვილი „ქრონიკასთან“ საუბარში აცხადებს, სანიკიძემ უმეტესად ტყუილი თქვა:

– **ტყუილი პირველი.** წარმოდგენილ პრეზენტაციაში თამარ სანიკიძეს ცალკე აქვს გამოყოფილი ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის პუნქტი, სადაც ის ხაზს უსვამს შემდეგ მომენტს – ამბობს, რომ 60%-ით შემცირდა განათლებისთვის დახარჯული წლიური ნილი. არგუმენტად მოჰყავს სასკოლო სახელმძღვანელოები. მაგალითად, აი, ამ წუთშიც კი არ მიუღიათ მოსწავლეებს სასკოლო სახელმძღვანელოები ახალციხის №1 სკოლაში. 1-დან მე-4 კლასის ჩათვლით, დღემდე არ მიუწოდებიათ დედა-ენებიც კი მოსწავლეებისთვის. აღნიშნული პრობლემა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის, მაგრამ ისინი რეაგირების ნაცვლად, ამბობენ, რომ ეს არის დირექტორების ბრალი და ეს არის ერთეული შემთხვევები. თამარად შემოიძლია ვთქვას, რომ მშობლები, სასკოლო სახელმძღვანელოების მხრივ, 2015-16 სასწავლო წლებში, საკმაოდ რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ, იმიტომ, რომ მათ უმრავლესობას, ყოვლად უეარგისი სახელმძღვანელოები შეხვდათ – კალმით იყო ამოხსნილი დავალებები წიგნებში და დღემდე ბევრი ქსეროქსით და ზოგიერთი სკოლაში არსებული რამდენიმე სახელმძღვანელოთი სარგებლობს, რაც აისახება სწავლის ხარისხზე და ნამდვილად არ უმსუბუქებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ხარჯების 60%-ს ოჯახებს. ბევრ მშობელს უჩივს, რომ ახალი სახელმძღვანელოები ეყიდა და მათაც, ვისაც ამის საშუალება ჰქონდათ, იყიდეს და ეს ხდებოდა და ხდება თბილისის უამრავ სკოლაში და ამაზე მშობლები ღიად საუბრობენ.



თამარ სანიკიძის 7 „აააააააა“ ტყუილი!

ექტი გაცილებით ადრეა დაწყებული. სადაც, 2010 წელს დაიწყო და გაგრძელდა იმავე პროგრესით, როგორც ეს პროექტით იყო გათვლილი.

ტყუილი მეხამე. ასევე, ანგარიშში უწყება საუბრობს გრიფირებასთან დაკავშირებით – სამინისტრო პირდაპირ მიანიშნებს, რომ რევიზირებული სასწავლო გეგმის მიხედვით, 2015 წელს სექტემბერ-ოქტომბერი გამოცხადდებოდა სახელმძღვანელოების გრიფირების კონკურსის პერიოდად. წარმოდგენილ სამი წლის ანგარიშში კი თამარად აცხადებდნენ, რომ სამინისტრო ამ მიმართულებით არ არღვევს გრაფიკს და ვადებს. ამ დროს, ამ ეტაპისთვისაც კი, კრიტიკიუმებიც კი არ არის გამოცხადებული, რომ არაფერი ვთქვათ კონკურსზე. აღნიშნული რამ რამდენიმე მიმართულებით ქმნის პრობლემას. პირველი, ასე დაგვიანებით გამოცხადებული გრი-

უკვე კრიტიკიუმები და ემზადებიან ამ კონკურსისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში, გეგმით განსაზღვრულ დროში ვერაფერს ვერ მოასწრებს მომზადებას. აღნიშნული შესაძლოა, ძალიან მარტივად იქცეს როგორც კორუფციული, ასევე ნეპოტიზტურ წყაროდ.

ტყუილი მეოთხე. პრეზენტაციაში საუბარია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საკითხზე, ახლავს მათი თანხების სქემასთან დაკავშირებით. ამ პუნქტს ანგარიშში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს და შეფასებულია, როგორც ერთი წლის წარმატებული ნაბიჯი. აღნიშნულზე, თამარად შეიძლება ითქვას, რომ ამ დრომდე აბსოლუტურად გაუაზრებლად და აქტიურად მიმდინარეობს ეს პროცესი. ის თვითშეფასების დოკუმენტი, რომელსაც მასწავლებლებს ავსებენ, აბსოლუტურად არაფერის მომტანი არ არის. ეს სქემა არის, უბრალოდ, სქე-

ოთხი საფეხური. ამ ოთხში, უმაღლესი საფეხური გახლავთ მენტორის პოზიცია. ეს ისეთი სქემაა, სადაც სამინისტრომ გადანაწილების ისეთი მექანიზმი მოიფიქრა, სადაც 60 ათასი პედაგოგიდან ერთიც კი არ აღმოჩნდა, რომელიც ამ მეოთხე, მენტორის მასწავლებლის კატეგორიის დაიკავებდა. ანუ საქართველოს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული სქემის თანახმად, უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი არ ჰყავს. ეს არის პედაგოგთა შეურაცხყოფა და უწყების მხრიდან გადადგმული ძალიან დიდი შეცდომა. შემდეგი საფეხური გახლავთ ნამყვანი მასწავლებლის და ასეთი საქართველოში გვყავს 151 მასწავლებელი. ამ 151 მასწავლებლისთვის ხელფასებში სხვაობა, შარშანდელთან შედარებით, გახლავთ 10 ლარზე ცოტათი მეტი. ანუ დანარჩენი 15 ათასამდე პედაგოგისთვის,

128 ლარში იგულისხმება შარშანდელი 60 ლარიც და რა გამოდის? – სახელმწიფომ, ასე რიხიანად რომ განაცხადა პედაგოგთა ხელფასების მატებაზე, ეს არის ამ 151 პედაგოგისთვის მომატებული 10 ლარზე ცოტათი მეტი, ხოლო დანარჩენისთვის 68 ლარი. არ არის ეს სამარცხვინო?! რაც შეეხება საბაზისო, 70-ლარიან მატებას, როცა ბოლო სამი წლის ანგარიშზეა საუბარი და სიტუაციას ადარებენ 2012 წელს, გაითვალისწინონ, რომ მაშინდელი 305 ლარი გახლდათ 187 დოლარის ეკვივალენტი ლარებში, დღეს კი იგივე 305 ლარი 147 დოლარია. შესაბამისად, 2012 წელთან შედარებით კი არ გაიზარდა პედაგოგთა ხელფასები, არამედ ძველ ნიშნულსაც კი ვერ მიუახლოვდა. ანუ ხელფასებმა იკლო. ასევე, ამავე ანგარიშში საუბარია მოსწავლისთვის გათვლილ ვაუჩერთა ზრდაზე. 2015 წლის 14 სე-



გაუზიარებელი
555 48-48-61



ლალი რანგის 800-მდე ჩინოვნიკმა პრემიები და დანამატები კვლავ ხელგაშლილად გამოიწეროს, ერთი და იგივე კომენტარს აკეთებს:

პათოსი კარგია, მისასალმებელია, კეთილშობილურია, მაგრამ კანონპროექტი მოსაწესრიგებელია, ეს საკითხი მთავრობასთან უნდა გავიაროთო. ასე ამბობს გია ვოლსკი, ასე ამბობს ეკა ბესელია და

ანებს პრემია არ მივცეთ. ვინც დაიმსახურა, ის აუცილებლად მიიღებს პრემიას“.

დიახ, ბატონებო და ქალბატონებო, ნოდარ ხადურის დავთრების მიხედვით, საჯარო სამსახურებში ძალიან ღირსეული ადამიანები მუშაობენ (მათ შორის, ჯოკია ბოდუკიძე) და მათ სჭირდებათ ღირსეული ანაზღაურება.

ურისთვის შეუფერებელი! რაც შეეხება 600 ათას პენსიონერს... ხადურისა და სხვების წარმოდგენით, ეს არის „ბალასტი“, რომელიც წელიწადში 5-10 ლარზე მეტს არ იმსახურებს

(დედაშენს მაინც რას ერჩი, ნოდარი, სექტემბერში ხომ თავად ამბობდი, 10 ლარით პენსიის გაზრდას ყველაზე მეტად დედაჩემი ელოდება?)

ციურების პარალელურად, მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელფასო დანამატის სახით გაცემული თანხები. ესე იგი, ერეკლე პრემია, დაარქვეს დანამატი და უფრო მეტს იწერენ,

ვიდრე 9 თვის წინ იწერდნენ. როგორც გენერალური აუდიტორის მოადგილე, დევი ვეფხვაძე ამბობს, მთავრობის №449 დადგენილება, რომელმაც საბიუჯეტო ორგანიზა-

და მორჩა, ხელფები გაეცნათ.

უკვე გითხარით, ამათ პენსიები და პენსიონერები არ ინტერესებთ-მეთქი, როგორც ფინანსური პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე, სერგო ჯავახიძე ამბობს, ამას აქვს ერთი ძალიან მარტივი ახსნა (ამაზე „ალიაში“ უკვე ვწერდი, მაგრამ იმდენად საინტერესოა, აქაც უნდა გავიმეორო):

2015 წლის 12 ნოემბერი. კარგად დაიმასხვრეთ, საქართველოს პარლამენტში მოხდა დიდი ლუსტრაცია. ახლა უკვე იცით, ვის არ აქვს 2016 წლის არჩევნების პერიოდში თქვენთან მოსასვლელი პირი.

გორჩევეთ, გაზეთიდან ამოჭრათ ეს გვერდი, სათუთად შეინახოთ უბის ჯიბეში, ან სადმე მოსახერხებელ ადგილას და როდესაც მავანნი უბან-უბან დაიწყებენ წაწმენას, მაშინ კიდევ ერთხელ წაიკითხოთ.

დიახ, ეს სტატია იქნება თქვენი „გზამკვლევი“ 2016 წლის არჩევნებში, თუ დამიჯერებთ, აღარ მოტყუვდებით ილღიებში გამოსული ძირმაგარების შესახებ მოყოლილი ზღაპრებით, 250-ლარიანი პენსიებით, უფასო ფულით და ასე შემდეგ!

მაშ, ასე... 12 ნოემბერს პარლამენტში დეპუტატ ზაქარია ქუცნაშვილის მიერ წარდგენილი ინიციატივა, რომელიც მაღალი რანგის თანამდებობის პირებისთვის პრემიების აკრძალვას ითვალისწინებდა, მეორე მოსმენის შემდეგ ჩავარდა – კენჭისყრის შედეგი ასეთია: 44 მომხრე, 3 – წინააღმდეგი. ინიციატივის წინააღმდეგ ნავიდნენ: ლევან ბერძენიშვილი, ზვიადი ძიძიგური და მალხაზ წერეთელი. პირველს ხშირად აწუხებს „ხორკლიანი“ აზრები და არც უნდა გვქონოდა იმედი; მეორე ხშირად დადის ჩოხა-ახალუხით და გულში მჯილის ცემით. გამოდის, ჩოხაც და გულიც ყალბი ყოფილა; მესამე – ნუ, ეს დეზინფექტორი საერთოდ როგორ მოხვდა პარლამენტში, გაუგებარია!

ახლა კარგად დაიმასხვრეთ შემდეგი გვარები... პარლამენტის სედომათა დარბაზში იმყოფებოდნენ, მაგრამ კანონპროექტის კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს, ანუ მხარი არ დაუჭირეს: ნურკი ქანთარია, ოთარ ჩრდილულმა, გუგული მაღრაძემ, ლუკა კურტანიძემ, გია ვოლსკიმ, ეკა ბესელიამ, თამარ კორძაიამ, ვახტანგ ხმალაძემ, ფრიდონ საყვარელიძემ, გიგა ბუკია, პაატა კვიციანიძემ, გიორგი კახიანიამ, ზურაბ ტყემალაძემ, დემურ ბაშაღივილიძემ და გიორგი გაჩეჩილაძემ. ესე იგი, ამ ადამიანებმა ვირეშმაკული სცენარი გაითამაშეს, თავიანთი ჭკუით ნეიტრალური დაიჭირეს, მაგრამ, ფაქტობრივად, ინიციატივას მხარი არ დაუჭირეს.

კენჭისყრამდე პარლამენტს დეპუტატმა გიორგი კახიანიამ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის უარყოფითი დასკვნა წარუდგინა. კახიანის თქმით, იდეა კარგია, ინიციატივის პათოსს მიესალმება, მაგრამ მისთვის მხარი პარლამენტს არ უნდა დაეჭირა, რადგან საკითხი კომპლექსურ მოწესრიგებას საჭიროებს.

ყველა გაქსუებული დეპუტატი, ვინც მომხრეა, რომ მა-

წადით, თქვანი!!!

2015 წლის 12 ნოემბერი. კარგად დაიმასხვრეთ, საქართველოს პარლამენტში მოხდა დიდი ლუსტრაცია. ახლა უკვე იცით, ვის არ აქვს 2016 წლის არჩევნების პერიოდში თქვენთან მოსასვლელი პირი





დიახ, ეს სტატია იქნება თქვენი „გზამკვლევი“ 2016 წლის არჩევნებში, თუ დამიჯერებთ, აღარ მოტყუვდებით ილღიებში გამოსული ძირმაგარების შესახებ მოყოლილი ზღაპრებით, 250-ლარიანი პენსიებით, უფასო ფულით და ასე შემდეგ!



ასე ამბობს ყველა და ამ პოზიციას „ფეჩატს“ არტყამს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური:

„საჯარო სამსახურში მუშაობენ ძალიან ღირსეული ადამიანები და მათ ღირსეული შრომის ანაზღაურება სჭირდებათ. ჩვენ მზად ვართ, ყველასთან შევიდეთ კომუნიკაციაში, მაგრამ მოწესრიგება არ ნიშნავს იმას, რომ ადამი-

საინტერესოა, რამდენი ღირსეული გვეყავს ამ ქვეყანაში? როგორც ეკონომიკის ექსპერტი, ლია ელიავა ამბობს „ქრონიკასთან“ საუბარში, ასეთია დაახლოებით 130 ათასი, აქედან „ძალიან“ ღირსეული გახლავთ დაახლოებით 800 ადამიანი, ხოლო 3,5 მილიონი არის უღირსეულო, უთავგებოფარო, კრეტილი, დებილი და საჯარო სამსახ-

ხადურის პატივცემულ მშობლებს (განსაკუთრებით დედას) ვურჩევ, აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ სშირად ნაიკითხოთ!

როდესაც პარლამენტში დიდი ლუსტრაცია მიმდინარეობდა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოაქვეყნა დასკვნა, სადაც წერია, რომ

საჯარო დაწესებულებებში პრემიების გაცემის შემ-

ციებში გასაცემი პრემიების მოცულობა და პერიოდულობა შეზღუდულია, ფარატიანა ქალაქი აღმოჩნდა,

2015 წლის განმავლობაში, გასულ წელთან შედარებით, დანამატების გამოწერა 36,9%-ით გაიზარდა. ხედავთ, რა გააკეთეს? შარშან მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებაში ეწერა სიტყვა „პრემია“, ამით შეცვალეს „დანამატი“

„ნოდარ ხადური გემოდვრავს, პრემია თავისი არსით შესანარჩუნებელია, ხალხი მუშაობს, ბიუჯეტს ავსებს, აბა, როგორ გინდათ, წახალისების მექანიზმი ხომ უნდა არსებობდესო? ეს მიხეილ სააკაშვილის მეთოდი, როგორც კი ბიუჯეტის დეფიციტის ნიშნები ჩნდებოდა, ეგრევე საჯარო სამსახურებში ან ხელფასების მომატებას იწყებდა, ან კიდევ შტატების

დამატებას. ეს ნაღდი ოპერაციას, არც ეკონომიკის ალორძინებაზე ფიქრია საქირო, არც საშუალო ბიზნესის ხელშეწყობაზე, რაც მეტ პრემიასარგოს გასცემს, მით მეტი შემოგვია ბიუჯეტში. პენსიები ბიუჯეტისთვის გადაყრილი ფულია, უკან არ მიდის არაფერი, ხოლო პრემია-დანამატების მნიშვნელოვანი ნაწილი სამშრომლო სახით უკანვე ბრუნდება.“

ხედავთ, სად არის ძალის თავი დამარხული? რატომ უნდა აიტვიკოს აუტიკვიარი თავი ნოღარმა, ან რატომ უნდა შენუხდნენ სხვები ზედმეტი ფიქრით, როცა საჯარო სამსახურებში სამშრომლო სახით დაკავებული თანხები ალაზანივით მიედინება ბიუჯეტში? ამ შემოსავლებზე ხომ არც სტყვევა მოქმედებს, არც წყაღდობა და არც გვალვა?!

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, ეს გახლდათ „მშენიერი“ ლუსტრაცია და ამ ყველაფერს უარყოფითად აფასებს თავად ინიციატივის ავტორი, ზაქარია ქუცნაშვილი. თუმცა მას იმედი აქვს, რომ საკითხი მესამე მოსმენით გადავა. რას აპირებს ჩავარდნის შემთხვევაში, ამის თქმას 16 ნომბერს აპირებს საგანგებო პრესკონფერენციაზე:

— მესამედ ჩავარდნის შემთხვევაში რას იზამთ, რა გამოსავალია, ხელახლა შეიტანთ კანონპროექტს?

— მე არ ვაპირებ დათმობას... თუ როგორ ნარმომიდგენია საქმის გაგრძელება, ამას პრესკონფერენციაზე დეტალურად ვიტყვი. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩინოვნიკებმა ფულად ჯილდოებზე უარი უნდა თქვან, ახლა მაგისი დრო ნამდვილად არ არის.

— წესით, უნდა თქვან, მაგრამ არავის არ სიამოვნებს და ფაქტობრივად, უარს არც ამბობენ. მე მაინტერესებს, მესამედ ჩავარდნის შემთხვევაში რა გზა არსებობს, პროცედურულად როგორ ხდება?

— რა თქმა უნდა, ხელახლა ნარდგენის პროცედურა არსებობს. ამაზე ახლა ნუ მათქმევენებთ დეტალურად, ჩანაფიქრს ცოტა მოგვიანებით გავამხელ. მე დანუხვულ საქმეს ბოლომდე მივიყვან. აქ მთავარი ერთი რამეა, უმრავლესობის უმრავლესობა, ანუ 44 დეპუტატი მხარს მიჭერს. პირველ მოსმენაზე მხარი 40-მა დეპუტატმა დამიჭირა, მერე ციფრი გაიზარდა, სულ 6 ხმა დამაკლდა.

— ვინც მხარი არ დაგიჭირათ, ყველა ერთსა და იმავეს ამბობს, კანონპროექტი მოუწესრიგებელია და თანაც კონსულტაციები მთავრობაში უნდა გაივარდოს.

— პარლამენტში მხოლოდ ერთი დეპუტატი გამოვიდა შენიშვნებით, ეს იყო კახიანი. დანარჩენებს არც შენიშვნები გამოუთქვამთ და არც პირადად ჩემთვის უთქვამთ რამე. მე არ ვიცი, ვინ რით ამართლებს თავის პოზიციას, შენიშვნა ჰქონდათ მხოლოდ ხადურსა და კახიანს, სხვები ჩუმად ისხდნენ.

— მე ვფიქრობ, ეს იყო კარგი ლუსტრაცია, მეთანხმებით?

— დასკვნები მესამე მოსმენის შემდეგ გავაკეთოთ. მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმეს ბოლომდე მივიყვან. დღეს რა ხელფასები

ბიც არსებობს საჯარო სამსახურებში, ამის ფასად ძალიან კარგი ხალხის მოყვანა შეიძლება, კიდევ დანამატები პრემიები საქირო არ არის. მე ხადურისა და კახიანის პოზიცია მიუღებლად მიმანჩია.

— აქ ერთი კარგი პარალელიც დაფიქირდა: იმატებ და ინარჩუნებ პრემიებს, დანამატებს, ამ დროს 5 ლარი თავი პენსიებზე.

— ისე, როგორც პარლამენტი არ უნდა იყოს ყაჩაღების თავშესაფარი და დეპუტატი არ უნდა სარგებლობდეს აბსოლუტური შედევით, ასევე საჯარო სამსახური არ უნდა იყოს ფულის საკეთებელი და ფუფუნების ადგილი (რედ. დიას, ყაჩაღები არ უნდა ხვდებოდნენ პარლამენტში, რატომ უნდა თუ მათ ამომრჩეველი არ აირჩევს და მეორე, დეპუტატს მხოლოდ დამსახურების მიხედვით ეკუთვნის ყველა პრივილეგია!).

საინტერესოა, რა ხელფასები, ანუ „სარგოები“ აქვთ ჩვენს ჩინოვნიკებს, კიდევ რა დანამატები და პრემიები საქირო? ოფიციალური მონაცემების თანხმად, პირველ ადგილს — 16 537-ლარიანი ხელფასით იკავებს კომუნიკაციის ეროვნული კომისიის თავმჯდომარე, ხოლო ბოლო ადგილზე — 1750-ლარიანი ხელფასით შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის მოადგილეა.

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე — 12 633 ლარი; ეროვნული ბანკის პრეზიდენტი — 12 500 ლარი; ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის წევრები — თითოეულს 11 900 ლარი; საქართველოს პრეზიდენტი — 6 900 ლარი; ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები — თითოეულს 6 500 ლარი (სულ 6 წევრია); უზენაესი სასამართლოს მოსამართლე — თითოეულს 6 000 ლარი (18 მოსამართლე); საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე — თითოეულს 6 000 ლარი (9 მოსამართლე); გენერალური აუდიტორი — 5 950 ლარი; გენერალური აუდიტორის პირველი მოადგილე — 5 600 ლარი; გენერალური აუდიტორის მოადგილე — თითოეულს 5 500 ლარი (სულ სამი მოადგილე); სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე — თითოეულს 5 000 ლარი (26 მოსამართლე); ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — 4 800 ლარი; საქართველოს პრემიერ-მინისტრი — 4 250 ლარი; ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — 4 030 ლარი; ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი — 4 000 ლარი (მდივანსა და პრემიერ-მინისტრს თითქმის თანაბარი ხელფასები აქვთ); საქალაქო სასამართლოს მოსამართლე — 4 000 ლარი (სულ 97 მოსამართლე); მთავარი პროკურორი — 3 910 ლარი; ყველა მინისტრის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო გახლავთ 3 540 ლარი. 3 540 ლარია მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის, დაზვერვის სამსახურის უფროსისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის ყოველთვიური სარგო. მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე — 3 520 ლარი; საგადასახადო ომბუდსმენი — 3 500 ლარი; საავტომობილო გზების დე-

პარლამენტის თავმჯდომარე — 3 450 ლარი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე — 3 310 ლარი; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე — 3 310 ლარი; ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი — 3 200 ლარი; სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი — 3 200 ლარი; აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — 3 070 ლარი; აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე —

3 070 ლარი; საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი — 3 000 ლარი; გუბერნატორები — 2 900 ლარი; სასახლწვერო პოლიციის უფროსი — 2 710 ლარი; პარლამენტთან არსებული პერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე — 2 700 ლარი (პერალდიკის უფროსი, რომელსაც წელსადში ირთვლებს არ აქვს საქმე, იმდენივეს იღებს, რამდენსაც სასახლწვერო პოლიციის უფროსი). პარლამენტის წევრები — 2 000 ლარი (სულ 150).

როგორც ხედავთ (ამას ნამდვილად არ სჭირდება დაკვირვებული თვალი), საქართველოში სარგოები თუ ხელფასებიც კი არასამართლიანადაა გადანაწილებული — რაც უფრო უსაქმურია ადამიანი, მით მეტი მიაქვს სახლში. ბოლოს კი ვიხიდი ღვთისა და ერის წინაშე, მაგრამ ვინ ჩემი ფეხებია ეროვნული მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე, ან რა საქმეს აკეთებენ მისი ყალბიანდი მოდგ-

ილები, რომ (16 ათასზე მეტი) ამდენს იღებენ? 2-3 წელიწადში ერთხელ ვილაყველოში სარგოები თუ ხელფასებიც კი არასამართლიანადაა გადანაწილებული — რაც უფრო უსაქმურია ადამიანი, მით მეტი მიაქვს სახლში. ბოლოს კი ვიხიდი ღვთისა და ერის წინაშე, მაგრამ ვინ ჩემი ფეხებია ეროვნული მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე, ან რა საქმეს აკეთებენ მისი ყალბიანდი მოდგ-

დასკვნა: ნადით, თქვენი!!!

ლუზრა აბრამია 591 97-67-09

ეს სკანდალური წერილი, რასაც ახლა წაიკითხავთ, ინტერნეტში სანდრა რულოვის სახელით გავრცელდა და დიდი აჟიტაჟი მოჰყვა. ამ წერილს თითქმის ყველა პოლიტიკოსი გამოეხმაურა, განსაკუთრებით ალფოთის სალომე ზურაბიშვილი, რომელმაც სანდრა რულოვის



მონით შეცვალა და ორ კაპიკზე გაყიდა სამშობლოს მომავალი, საკუთარ შეილებიანად... არც მაშინ, როცა ამავე ადამიანს, მათივე ქვეყნის გადარჩენა არ აპატიო და მთელ მსოფლიოში დაუწყო დენა და სახელის გატყუება, შეპირებით, რომ აუცილებლად გასრულდება... არა, მაშინ არა... მაშინ მოუღებლობა იყო ყოველივე ამის... ხოლო გაუცხოება და შეგრძნება იმის, რომ შეუძლებელია ამ ერს ვეკუთვნოდ, მოვიდა იმის შემდეგ

კი არ აბრალდებოდა ხომ — ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა. თანაც პატიმრების ორგანოებით ვაჭრობა. დააბრალა, აიტაცა და ახლაც ყველა საშუალებით მთელ მსოფლიოში გამგვირის ამის შესახებ. საქმე ის კი არ არის, ამას ვინმე დაიჯერებს, საშინელთა ისაა, ერმა ეს რომ იკადრა და საკუთარ თავს რომ აკადრა. თითქმის მთელმა ერმა! არ მინდა ამით ვეკუთვნოდ... არ მინდა... ფურთხის კი არა, ყოველივე ამის შემდეგ არსებობის ღირსი თუ

ლი მიმართვა სანდრა რულოვის დასამშვიდობებელი ხელის დაქვეა რომ ეგონა ქართველ ხალხს, ნუგზარ სერგიაშვილს ხნის წინ დანერა, თუმცა, ახლა გახდა ასეთი აქტუალური... აი, რას გვიყვება მასზე ხობელი, ამჟამად საზღვარგარეთ მოღვაწე ზვიად კორტავა, რომელიც ნუგზარ სერგიას ახლოს იცნობს: — ეს არის ყოფილი ფეხბურთელი, შემდეგ ადგილო-

სანდრა რულოვისი: „ფურთხის კი არა, ყოველივე ამის შემდეგ, არსებობის ღირსი თუ ხარ, შენ — საქართველო?!“

ვინ არის სინამდვილეში სანდრა რულოვისის სახელით გავრცელებული სკანდალური წერილის ავტორი?



სულ პოლანდიელი სოფელი ქალი ეძახს... თუმცა, მოგვიანებით, ბოდიში მოიხადა.

„სანდრა რულოვისი ქართველი ერისადმი ჩემი სრული გაუცხოება დაინყო თუნდაც არა მაშინ, როცა ამ ერმა საერთოდ დაკარგა სახე და ყველაზე დიდ კრიზისულ რთობად ჩამოყალიბდა დედამიწაზე, თავისი ორი განუწყრელი ფრთით, დამნაშავეებით და მათ თანაგარისმცემლად (სხვა მხარე ავ არსებობდა), არც მაშინ, როცა საკუთარი ქვეყნის პირველი პრეზიდენტი, რომელსაც დაბადებულადვე სამშობლოს სიყვარულზე აბოლებდა, მათივე ჩუმი თანხმობით ცოფიანი ძაღლივით ჩაკლეს სამეგრელოს უსიერ ტყეში. არც მაშინ, როცა უსაშველო უფსკრულში ჩაძირული და გასაქრობად განწირული ქვეყნის სასწრაფოებრივად ამომორციელებული გზაზე დამწყვდელი, საკუთარი ქვეყნის უპირველესი მტრის

ხარ, შენ — საქართველო?“

